ხელშეკრულება №192
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

14 აგვისტო 2015 წელი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების და 2015 წლის 03 აპრილის №151 დადგენილების თანახმად, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ივნისის №82 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" შესაბამისად,, ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე თამაზ მოწყობილი (შემდგომში - ,,მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა (CPV 71520000 - მომსახურებები მშენებლობის ზედამხედველობის სფეროში).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 405 (ოთხას ხუთი) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით („ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ივნისის №82 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" შესაბამისად, ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართი N1-ში მითითებული შესაბამისი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხიდან);

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების პროპორციულად, გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება – ჩაბარება

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან;

4.2. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;

4.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.4. შესრულებული სამუშაოების პარალელურად ზედამხედველი ვალდებულია მის მიერ მიღებული სამუშაოების თაობაზე, წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო დოკუმეტაცია გაწეული მომსახურების შესახებ.

4.5. გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დანართი-1-ში მითითებულ სამუშაოებზე ბრძანებით შექმნილი კონტროლის (ინსპექტირები) ჯგუფი.

5.მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ვადაა:

ა) დანართი 1-ში მითითებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

6. მომსახურების შესაბამისობა

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6.2 6.1.პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6.3 მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა უნდა განახორციელოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის ბრძანება №1-1/251-თ დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა. განახორციელოს კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე;

ბ. წარმოდგენილი სამუშაოთა მოცულობის დადასტურება, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის და შემსყიდველთან შეთანხმებული შესაბამისი ერთეული სამუშაოთა ღირებულების დადასტურება;

გ. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი;

დ. საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე კონტროლი;

ე. მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება;

ვ. ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმება, შეფასება და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობა, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;

ზ. შენობის ძირითადი და საპასუხისმგებლო კონსტრუქციების გამოცდისა და მიღება-ჩაბარების განხორციელება;

თ. მონაწილეობა სამშენებლო კონტროლისა და მშენებლობის ცალკეული ეტაპის სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმება-შეფასებაში და პროექტთან შესაბამისობის დადგენაში;

ი. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვიანობა;

კ. პირველადი საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაზე კონტროლი და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ნაკლოვანებებისა და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა;

ლ. კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ საავტორო ზედამხედველობისა და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მითითებების მიწერილობების, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობის იმ მოთხოვნათა შესრულებაზე, რომლებიც მიეკუთვნება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;

მ. მონაწილეობა მუშა კომისიების მიერ ცალკეული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე და საპროექტო მონაცემთა შესაბამისობაზე ჩატარებულ შემოწმებებში;

ნ. მშენებლობის პროცესში შემსყიდველისათვის სისტემატიურად ინფორმაციების მიწოდება მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

ო. დაამოწმოს მშენებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მიღება ჩაბარების აქტები (ფორმა №2 და ფორმა №3) და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა შესრულებული სამშენებლო სამუშაოს აღსარიცხავად.
პ. სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალის წარმოების შემოწმება და მასში შესაბამისი ჩანაწერებისა და შენიშვნების განხორციელების უფლებამოსილება და წარმოება;
7.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით;
8.2.ხელშეკრულების ერთ – ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ყოველ კონკრეტულ დანართი N1-ში მითითებულ სამუშაოებზე ბრძანებით შექმნილი კონტროლის (ინსპექტირები) ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს, მომსახურების ზედამხედველობას, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირებას;
9.2. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
9.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს – მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღისგანმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი ეგზემპლარი შემსყიდველთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

მის. ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141

საიდენტიფიკაციო კოდი 247001890

გამგებელი

სულხან ევგენიძე

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე „თამაზ მოწყობილი“

მის. ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი

სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE90LB02 1214 4647 2290 00

პ/ნ 61004051297

ინდ. მეწარმე

თამაზ მოწყობილი

დანართი 1

№	თემი/სოფელი	სამუშაოს დასახელება	სულ ღირებულება	მომსახურების ღირებულება
1	ქაქუთის/აჭი	სოფ. აჭის სტადიონზე ბუნებრივი საფარის მოწყობა	3600	30
2	ოჩხამური	დაბა ოჩხამურში სკვერის მოწყობა	1000	8
3	ხალას/გორგაძეები	სოფელ გორგაძეებში გოგირდოვანი აბანოს კეთილმოწყობა	4000	34
4	მუხაესტატეს	მუხაესტატეს ცენტრის კეთილმოწყობა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია	5000	41
		სოფელ მუხაესტატეში მოსაცდელის მოწყობა	2500	21
		სოფელ მუხაესტატეში მოსაცდელის მოწყობა	2500	21
5	ლეღვა	სოფელ ლეღვაში მოსაცდელის მოწყობა	2500	21
6	ჩაქვი	დაბა ჩაქვში მოსაცდელის მოწყობა	2500	21
7	ჭახათი	სოფელ ჭახათში გაბიონის მოწყობა	2800	23
8	ციხისძირი	სოფელ ციხისძირის ცენტრში არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია	2500	21
9	ბობოყვათი	ბობოყვათის კულტურის სახლის სააქტო დარბაზის შეკეთება	19500	164
			48400	**405**

ინდ. მეწარმე "თამაზ მოწყობილი"

თამაზ მოწყობილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი

14.08.2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში, სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების (CPV 71520000-მომსახურებები მშენებლობის ზედამხედველობის სფეროში) შესყიდვის განხორციელებაში, ინდივიდუალური მეწარმე „თამაზ მოწყობილი“ -ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გამგებელი

სულხან ევგენიძე